186
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

132
1-2

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი—თებერვალი

1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1992 წ.

შინაარსი

1. საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდების შესახებ.
2. ფასების ლიბერალიზაციის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.
3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ.
4. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების თაობაზე.
5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანოს — ყოველკვირეული გაზეთის „რესპუბლიკის“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ.
6. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ.
7. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის შესახებ.
8. ელექტროენერგიის ტარიფების მოწესრიგების შესახებ
9. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ.
10. დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ
12. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებების მოქმედების ვადის გაგრძელების და ცვლილებების შეტანის თაობაზე.
13. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ტარიფების გადიდების შესახებ.
14. „საქშავზღვათევზდაცვის" სამმართველოს და საქართველოს შავი ზღვის სარეწაო ნავსადგურების „პორტის კაპიტნის" სამსახურის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.
15. საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელისათვის ნიკო სულხანიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.
16. ეკონომიკური რეფორმის მართვის ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ
17. საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ
18. საქართველოს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის შესახებ.
19. ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შექმნის შესახებ.
20. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე.
21. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოების), ფილიალის რეგისტრაციის წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
22. საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების შესახებ.
23. სატრანსპორტო კომპლექსში ტარიფების მოწესრიგების შესახებ,
24. საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს შესახებ.
25. საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს შესახებ.
26. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.
27. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების მინიჭების ვადის გადატანის შესახებ.
28. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 6 დეკემბრის № 914 დადგენილების მე-5 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
29. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
30. საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს" შექმნის შესახებ.
31. საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს სახელწოდებების შეცვლის შესახებ.
32. კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალების და მდინარე რიონის სახელმწიფო აღკვეთილის შექმნის შესახებ.
33. სახელმწიფო საწარმო — ფირმა „საქწყალმშენის" შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სოციალური დაცვისათვის:

1. გაუდიდდეთ კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებსა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ასპირანტებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს თანამდებობრივი განაკვეთები და სტიპენდიები 100 პროცენტით 1992 წლის 15 იანვრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს თანამდებობრივი განაკვეთებისა და სტიპენდიების გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი სამინისტროებიდან მიღებული გაანგარიშებების შემდეგ წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესანახი ხარჯების, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდის გასადიდებლად.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად სამეურნეო ანგარიშიანი საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებს და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს განსაზღვრავენ დამოუკიდებლად. ამასთან შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა არ იზღუდება.

20149

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი — გ. ბერიძე

ქ. თბილისი, 1992 წ. 13 იანვარი, № 13

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ფასების ლიბერალიზაციის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საპენსიო რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საქართველოს რესპუბლიკის საპენსიო უზრუნველყოფისა და საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონების მიღებამდე მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. პენსიების დანიშვნა, გადაანგარიშება და გაცემა მოხდეს იმავე ნორმებითა და წესებით, რაც მოქმედებდა 1992 წლის 1 იანვრამდე.

2. 1992 წლის 15 იანვრიდან ყველა სახის პენსია და დახმარება გადიდდეს ასი პროცენტით.

3. ხელფასების, სტიპენდიების, პენსიების და დახმარებების ასი პროცენტით გადიდებასთან დაკავშირებით გაუქმდეს დღემდე მოქმედი ყველა სახის კომპენსაცია.

4. 1992 წლის 15 იანვრიდან დროებით განესაზღვროთ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ტარიფები:

საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, კოლმეურნეობებს, ყველა იურიდიული პირის უფლების მქონე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების გადამხდელებს (დამზღვევებს), მეურნეობრიობისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, დამქირავებლებს (სამუშაოდ მოწვეულ ცალკე პირებზე), მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, მათ შორის ინდივიდუალური (ჯგუფური) იჯარით ან კერძო გლეხურ მეურნეობაში მომუშავეებს — 37 პროცენტის ოდენობით;

ინდივიდთა და პენსიონერთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათს საწარმოებს, დაწესებულებებს, გაერთიანებებსა და სასწავლებლებს — 10 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 13 იანვარი, № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის აღკვეთისა და პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კუთვნილი პრესის საშუალებები გამოცხადდეს პრესის დამოუკიდებელ ორგანოებად.

2. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად მოხდეს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული პრესის საშუალებების დაფუძნება და სათანადო ორგანოებში რეგისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 იანვარი, № 18

4 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომელიც არეგულირებდა პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს და ქმნიდა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ გარანტიებს, უსაფუძვლოდ იქნა შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით.

იმისათვის, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს შეექმნათ სათანადო პირობები თავიანთი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობისათვის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 ნოემბრის დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების დროებით შეჩერების თაობაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო შეუდგეს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 იანვარი, № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანოს — ყოველკვირეული გაზეთის „რესპუბლიკის“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეწყდეს ყოველკვირეული გაზეთის „რესპუბლიკის“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანოს გამოცემა 1992 წლის 15 იანვრიდან. ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 31 მარტის № 143 დადგენილება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ (გ. ბერიძე) უზრუნველყოს გაზეთის გამოცემის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 იანვარი, № 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების შესახებ

რესპუბლიკის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობისადმი სახელმწიფო კონტროლის ფუნქციების შემდგომი შეზღუდვისა და საკონტროლო ფუნქციების მქონე სახელმწიფო ბმართველობის ზედმეტი და პარალელურად მოქმედი რესპუბლიკური ორგანოების შემცირების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნას სალიკვიდაციო კომისია კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მ. პ. ჩიქვილაძის თავმჯდომარეობით.

3. დაევალოს სალიკვიდაციო კომისიას გაუქმებული კომიტეტის მუშაკთა განთავისუფლება და მათთან საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 იანვარი, № 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო კადრების ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების, სასწავლო პროცესის დემოკრატიული მართვის, უმაღლესი სასწავლებლების თავისუფალი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიენიჭოთ საქართველოს რესპუბლიკაში ყველა ტიპის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს თვითმმართველი (ავტონომიური) ორგანიზაციების სტატუსი, იმ ვარაუდით, რომ მათ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. გადაეცეთ ავტონომიამინიჭებულ უმაღლეს სასწავლებლებს საკუთრებად მათ სარგებლობაში არსებული ძირითადი ფონდები და სხვა სახელმწიფო ქონება.

3. რჩევა მიეცეთ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება რექტორის თანამდებობის დაკავების შესახებ, რომლის საფუძველზეც აირჩევენ უმაღლესი სასწავლებლის რექტორს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრომ წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისათვის უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის წესი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე დაფინანსების მოცულობანი, სოციალური და სამეცნიერო პროგრამების დაფინანსების პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 იანვარი, № 46

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 ელექტროენერგიის ტარიფების მოწესრიგების შესახებ

რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული დარგის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და 1992 წლის 15 იანვრიდან სამოქმედოდ იქნეს შემოღებული:

— ელექტროენერგეტიკის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ და საბითუმო გადამყიდველების ელექტრული ქსელებიდან გაცემული ელექტროენერგიის ტარიფი — 1 კილოვატსაათზე 52,5 კაპიკი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით) ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, გარდა მოსახლეობისა;

— ელექტროენერგიის ტარიფი მოსახლეობისათვის 1 კილოვატსაათზე 12 კაპიკი მოქმედი შეღავათების გათვალისწინებით.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 29 მარტის № 240 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის ტარიფები.

2. ანგარიშსწორება საწარმოო გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციასა“ და საბითუმო გადამყიდველებს შორის განხორციელდეს ხელშეკრულების საფუძველზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ელექტროენერგიის ახალი ტარიფების დაყვანა საწარმოებამდე და ორგანიზაციებამდე.

4. ელექტროენერგიის ტარიფების რეგულირება მოხდეს სათბობის და სხვა ხარჯების არსებითი ცვლილების შემთხვევაში 25-პროცენტიანი ზღვრული რენტაბელობის გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 17 იანვარი, № 47

ეროვნული
მუზ.ბიბლიოთეკა

9 საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ

მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების ნორმის გადიდებისა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების, სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდების, ეკონომიკური კრიზისისაგან გამოსვლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე და მისი კუთვნილება.

2. მიწა კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს მიწა გადაეცემათ დროებით სარგებლობაში.

3. მიწების ადრინდელ მესაკუთრეებს ან მათ მემკვიდრეებს მიწა საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში მიეცემათ საერთო საფუძველზე. ამასთან შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოფათ ყოფილი მიწებიდან ნაკვეთი ნორმის ფარგლებში.

4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები თავისი დანიშნულებისა და შემდგომში მათზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის გავრცელების გათვალისწინებით იყოფა სახელმწიფო მიწების ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად. სახელმწიფო მიწების ფონდს მიეკუთვნება:

— ექსპერიმენტულ მეურნეობებზე, საცდელ და საყრდენ სადგურებზე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე-საჯიშე მეურნეობებზე, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილ კომპლექსებსა და ფაბრიკებზე უვადო სარგებლობით მიმაგრებული და სასათბურე კომბინატებით დაკავებული მიწები;

— რეკრეაციული დანიშნულების მიწები;

— სტრატეგიული კულტურებით დაკავებული მსხვილი სამექანიზაციო ფართობები, აგრეთვე ნაკვეთები, რომლებზეც ფუნქციონირებენ მაღალსპეციალიზებული მეურნეობები;

— სტიქიური და სხვა ობიექტური მიზეზებით განპირობებული მოსახლეობის განსახლებისათვის სარეზერვო მიწები;

— პერსპექტივაში საბაღედ, საადგილოდ გამოსაყოფი მიწები;

— მსხვილი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონებში განლაგებული მიწები (აგლომერაციის მიწები);

— მიწები, რომლებზეც ფუნქციონირებენ სახელმწიფო სახსრებით აშენებული მელიორაციული სისტემები და ნაგებობები;

— სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში განლაგებული, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული დანიშნულების მიწები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის რეფორმის ფონდზე შესაძლებელია მოეწყოს ყველა ფორმის მეურნეობები მათზე მიწების საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემით. აღნიშნული მიწები გადაეცემა სოფლის მფლობელობაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, სბაღე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადის მათ კერძო საკუთრებაში.

ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკარმიდამო ფართობის გადიდება ბარში და ზეგანზე 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთაში — 3 ჰექტარამდე.

ახალ ნორმამდე შესავსები ფართობი კომლს გადაეცემა უსასყიდლოდ კერძო საკუთრებაში მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების გადახდით.

6. ნასოფლარების აღდგენისას მიწების კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გამოყოფის უპირატესობით სარგებლობენ ამ სოფლის მკვიდრნი ან მათი მემკვიდრეები, აგრეთვე ის მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ დასახლებისა და მიწაზე მუშაობის სურვილს.

7. სოფლის ყოფილ მკვიდრთ მიწები გამოეყოფათ კერძო საკუთრებაში, თუ მათ მემკვიდრეობით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, იგივე წესი ვრცელდება მოქალაქეებზე, რომელთაც კანონით დადგენილი სხვა წესით მიიღეს საცხოვრებელი სახლი.

8. სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად მიწები გადაეცემათ:

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებს;

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს;

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დასაქმებული არ არიან სოფლის მეურნეობაში.

ქალაქად მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწები გადაეცემათ დადგენილი ნორმის მიხედვით მას შემდეგ, როდესაც მოხდება სოფლად მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებზე მიწების გაცემა.

9. მიწაზე, საკუთრების ფორმის მიუხედავად შეიძლება მოეწყოს ყველა ტიპის მეურნეობა: გლეხური (საკომლო) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, სახელმწიფო მეურნეობები, აგროფირმები, მცირე საწარმოები, აქციონერული საზოგადოებები, ასოციაციები და სხვა.

10. მიწის რესურსების სრულყოფილად გამოყენებისა და მიწის რეფორმის განხორციელებისათვის შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

11. მიწების გაცემას ახდენს სოფლის (დაბის) მმართველობის ადგილობრივი ორგანო, შემდგომ ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო სახელმწიფო აქტით, რაც დასტურდება სანოტარო წესით და რეგისტრირდება მიწების აღრიცხვის სახელმწიფო წიგნში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მიწაზე მესაკუთრის შეცვლის, აგრეთვე მიწასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს აწესრიგებს მიწის კანონთა კოდექსი და სპეციალური კანონმდებლობა.

13. საქართველოს რესპუბლიკაში მიწით სარგებლობა ფასიანია.

სოფლის მეურნეობაში დღემდე არსებული ყველა გადასახადის ნაცვლად წესდება მიწაზე ყოველწლიური გადასახადი, რომელსაც იხდის ყველა ტიპის მეურნეობა.

14. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს აგრარულმა კავშირმა ერთი თვის ვადაში მოამზადონ საკანონმდებლო აქტები:

— საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკაში გლეხური (საკომლო) მეურნეობის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის შესახებ;

— სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესახებ;

— სოფლის მეურნეობაში მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების იჯარით გაცემის შესახებ;

— ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მიწების სახელმწიფო და აგრარული რეფორმის ფონდებში განაწილების შესახებ;

— ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით საკარმიდამო, საბაღე, საagარაკო მიწის ფართობის ზღვრული ნორმების დადგენის შესახებ;

— ერთ კომლზე გასაცემი მიწის ზღვრული ნორმების შესახებ;

— საადგილმამულო ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ;

— მიწის ფასისა და მიწაზე გადასახადის შესახებ.

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოს განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზაციის შესახებ.

15. ამ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავებს საბოლოოდ გადაწყვეტს სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 18 იანვარი, № 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, გაუწონასწორებელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხალხის ყოველდღიური საარსებო ინტერესები მოითხოვენ სახელმწიფოს მართვის მაღალ პროფესიულ და ინტელექტუალურ დონეზე აყვანას, მმართველობის დემოკრატიულ საწყისებზე გადასვლას, კვალიფიციურ ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღებას.

დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს მართვა შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მქონე, სოციალურად აქტიური კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებათა გაზიარებით.

ამ პრინციპის განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო და დროებითი მთავრობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე განხილულ იქნეს პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად.

2. დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულ იქნენ ბატონები ვაჟა ადამია, ლევან ალექსიძე, მერაბ ალექსიძე, აკაკი ასათიანი, ირაკლი ბათიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, დავით ბერძენიშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი, თამაზ გამყრელიძე, გურამ გეგეშიძე, არჩილ გოგელია, რომან გოცირიძე, გურამ თევზაძე, ჯაბა იოსელიანი, ალექსანდრე კავსაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, თენგიზ კიტოვანი, დავით კუპრეიშვილი, ნოდარ ლომოური, გიორგი მაისურაძე, ნოდარ ნათაძე, მიხეილ ნანეიშვილი, თედო ნინიძე, თედო პაატაშვილი, ზურაბ ჟვანია, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, თეიმურაზ ფიფია, რევაზ შავიშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი შენგელაია, ელდარ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, ქალბატონი თამარ ჩხეიძე, ბატონები ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა, ივლიანე ხაინდრავა, თამაზ ჯანელიძე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 იანვარი, № 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადება მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის საშტატო განრიგისა და დაფინანსების შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად გადაწყვიტოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის განთავსების საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უმოკლეს ვადაში წარმოუდგინოს დებულება ამ კომიტეტის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 20 იანვარი, № 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებების მოქმედების ვადის გაგრძელების და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის № 728, 1991 წლის 10 ოქტომბრის № 774 და 1991 წლის 15 ნოემბრის № 872 დადგენილებებს 1992 წლის 1 აპრილამდე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის № 872 დადგენილების № 1 და № 2 დანართები („ნუსხა პროდუქციისა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იკრძალება 1991 წლის 15 ნოემბრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე“ და „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით“) და მათ სანაცვლოდ დამტკიცდეს თანდართული № 1 და № 2 ნუსხები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ (მოწვევა) საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან, უწყებებთან ერთად მოამზადოს და 1992 წლის 15 თებერვლამდე წარმოადგინოს განსახილველად დადგენილების პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასაგზავნი პროდუქციის კვოტირებისა და ლიცენზირების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი — გ. გერიძე

ქ. თბილისი, 1992 წ. 20 იანვარი, № 55

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 20 იანვრის № 55
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუსხა

პროდუქციისა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დროებით იკრძალება

— რძე და რძის ნაწარმი
— ცოცხალი პირუტყვი და ფრინველი, ხორცი და ხორცის ნაწარმი
— მარცვლეული, ბურღული და ბრინჯი
— ფქვილი
— შაქარი
— ცემენტი
— ყველა სახის აგური
— ხე-ტყე (მორები, ხის სხვადასხვა მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი)
— ტყავნეიდლეული
— ნავთობპროდუქტები
— კალცინირებული სოდა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი — გ. ბერიძე

20194

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 20 იანვრის № 55
დადგენილების დანართი № 2

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომლის გატანაც დროებით შეიძლება მხოლოდ ლიცენზიით

— ალკოჰოლიანი სასმელები
— ჩაი
— თამბაქოს ნედლეული
— თამბაქოს ნაწარმი
— ხილის კონცენტრატები
— ნაყენები (სპირტიანი და სხვა)
— მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვა)
— ეთერზეთოვანი პროდუქცია
— მედიკამენტები
— სანტექნიკური ნაწარმი
— ხარისხოვანი ჭურჭელი
— ტექნიკური აგატი
— მარგანეცის მადანი
— სპილენძი
— კვარციტები
— დარიშხანი
— ფეხსაცმელი, ტანსაცმელი
— ტყვია, თუთია, ალუმინი
— მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი და სხვა
— ქვანახშირი
— მინერალური სასუქები
— ავეჯი
— ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ნაწარმი
— ნართი და ძაფები, ქსოვილები, ტრიკოტაჟისა და ტყავის ნაწარმი
— ნოხები
— ტელევიზორები
— პიანინო
— მაცივრები
— გაზქურები
— სარეცხი საშუალებები
— ლოგინის და სუფრის თეთრეული
— სასკოლო-საკანცელარიო საქონელი
— ლითონის ნაირსახეობა (ლურსმანი, ფურცლოვანი ფოლადი, ფოლადის სახურავი, არმატურა, მილები, კუთხოვანა)
— აბრეშუმის პარკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მატყლი
— ბოსტნეულის კონსერვი
— კარტოფილი
— ხახვი
— მაკარონის ნაწარმი
— მცენარეული ზეთი
— თევზი და თევზის პროდუქტები
— ბავშვთა კვების პროდუქტები
— კრამიტი
— წვრილი საკედლე ბლოკი
— კირი
— თაბაშირი
— ბაზალტის, მარმარილოს და ტუფის ბლოკები

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ტარიფების გადიდების შესახებ

ფასებისა და ტარიფების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის საშუალებათა ნორმალური ფუნქციონირებისა და მათი შემდგომი განვითარება-გაფართოების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს და 1992 წლის 1 თებერვლიდან ძალაში შევიდეს კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ამჟამად მოქმედი ტარიფების მიმართ ზღვრული ასამაღლებელი კოეფიციენტი საშუალოდ — 4,5 შემდეგი ძირითადი სახეობების მიხედვით:

— საფოსტო კავშირით მომსახურება;

— რადიოფიკაციით მომსახურება;

— რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა;

— სატელეფონო გადაცემათა მომსახურება;

— მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური ტელეფონებით სარგებლობა.

დამტკიცდეს მომსახურების ჩამოთვლილი სახეობების მიხედვით რენტაბელობის ზღვრული დონე 40 პროცენტამდე.

2. კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით მომსახურებისათვის დაწესდეს თავისუფალი ტარიფები.

3. მასალების, მოწყობილობების, დანადგარების ფასების ცვლილებების შესაბამისად მოხდეს ტარიფების ასამაღლებელი კოეფიციენტის ხელახალი დამტკიცება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 იანვარი, № 88

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14 „საქშავზღვათევზდაცვის“ სამმართველოს და საქართველოს შავი ზღვის სარეწაო ნავსადგურების „პორტის კაპიტნის“ სამსახურის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. თევზის მარაგის დაცვის, კვლავაღწარმოების და თევზჭერის რეგულირების საქართველო — შავი ზღვის საუზო სამმართველო „საქშავზღვათევზდაცვა“ როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეწოდოს მას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის შავი ზღვის ეკონომიკური ზონის, თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველო „საქშავზღვათევზდაცვა“ და აღნიშნულ სამმართველოს თავისი საშტატო ერთეულებით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობითა და სხვა საშუალებებით გადაეცეს საქართველოს შავი ზღვის სარეწაო ნავსადგურები (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) „პორტის კაპიტნის“ სამსახური.

2. დაევალოს „საქშავზღვათევზდაცვის“ სამმართველოს:

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შავი ზღვის მიმდებარე აკვატორიაში ეკონომიკური ზონის დაცვა;

— საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თევზჭერის რეგულირება, თევზის მარაგის კვლავწარმოება და დაცვა, წყალსაცავების, მდინარეების, ტბებისა და სხვა თევზსარეწი მნიშვნელობის წყალსატევების დაცვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან;

— სასაქონლო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია;

— სამმართველოს დებულების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის;

— თავის სისტემაში „პორტის კაპიტნის“ სამსახურის კოორდინაციისათვის სათანადო სტრუქტურის შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 იანვარი, № 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელისათვის ნიკო სულხანიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან და მიეკუთვნოს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის სახელი საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელას.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 იანვარი, № 91

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16 ეკონომიკური რეფორმის მართვის ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბების, ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა სისტემურობის უზრუნველყოფისა და ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო კომისია.

2. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

3. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებისა და მეწარმეობის მხარდაჭერის ფუნქცია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტისაგან გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 იანვარი, № 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას.

2. პრივატიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი სახლი (ბინა), მათ შორის ავარიული, სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლში შეუსახლებელი ბინა, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინა.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ სახლებში არსებული ბინის საკუთრებაში გადაცემა დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების თანხმობით.

მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. საცხოვრებელი სახლი (ბინა) მათი სურვილისამებრ შეიძლება გადაეცეს მათ საერთო საკუთრებაში.

ოჯახში მცხოვრებ სრულწლოვან წევრთა თანხმობა სავალდებულოა დამოწმებული იყოს სანოტარო წესით.

ბინა, რომელიც სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს რამდენიმე დამქირავებელს, მათ საკუთრებაში გადაეცემათ ყველა დამქირავებლის თანხმობით.

3. პრივატიზაციას არ ექვემდებარება:

— სამსახურებრივი დანიშნულების ბინა;

— ბინა საერთო საცხოვრებელში.

4. საცხოვრებლი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა).

5. საცხოვრებლი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

მოქალაქენი, რომელთაც უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ საცხოვრებელი სახლი (ბინა), განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს, საწარმო-დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებსა და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა).

6. ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებაში, ხოლო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემისას ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

7. საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან. საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

8. საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებაში გადაცემისას მოქალაქემ უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. ბაჟი განისაზღვრება საცხოვრებელი სახლის (ბინის) ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადის ორი წლის ოდენობით 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

9. სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

10. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც მთლიანად გადაიხადა საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ითვლება ბინის მესაკუთრედ, რის შესახებაც იდება ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შეპაიესა და გამგეობას შორის, რაც დასტურდება სანოტარო წესით და გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი 50 მანეთის ოდენობით. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ამ დადგენილების მე-9 პუნქტში აღნიშნული პირები.

11. საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით.

12. საცხოვრებელი სახლის (ბინის) ექსპლუატაცია ხდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

13. შეძენილი ბინის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება ხორციელდება მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ანალოგიურად.

14. საცხოვრებელი სახლის (სექციის, ბინის) ტექნიკურ მომსახურებას ეწევიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები მოქალაქეებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ბინის მესაკუთრენი დაკავებული ფართობის შესაბამისად მონაწილეობენ მთელი სახლის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან, მათ შორის კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებში.

16. სახლების გათბობის, ელექტროენერგიით, გაზით, წყალმომარაგებითა და კანალიზაციით უზრუნველყოფის ხარჯებს ანაზღაურებენ ბინის მესაკუთრენი სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული ტარიფების მიხედვით.

17. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელ სახლში ბინის მესაკუთრენი სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომების სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების მიხედვით.

18. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და გაწეული დანახარჯების დაფარვის წესის შესახებ.

19. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1990 წლის 25 იანვრის № 35 დადგენილება „მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ბინების პირად საკუთრებაში მიყიდვის და მათი მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 1 თებერვალი, № 107

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 საქართველოს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის შესახებ

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში თვისებრივად ახალ საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

2. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო.

3. დაევალოთ აღნიშნულ სამინისტროებს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ დადგენილების პროექტები სამინისტროთა ფუნქციების, სტრუქტურისა და აპარატის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 4 თებერვალი, № 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს შექმნის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მმართველობის დემოკრატიული ფორმების დანერგვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 10 იანვრის დადგენილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს — გამგეობის შემადგენლობის ასარჩევად (თავმჯდომარე, მოადგილე და, როგორც წესი, 3-5 წევრი) შესაძლებელია ჩატარდეს რაიონული და საქალაქო კრებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ რაიონული, საქალაქო, სოფლის, თემის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების დეპუტატები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების თითო წევრი, რომლებსაც არ ჰყავთ საკრებულოში თავიანთი წარმომადგენელი, რაიონის და ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სხვა წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 5 თებერვალი, № 122

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადასაცემი საკარმიდამო მიწის ზღვრული ნორმები ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით:

— სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეებისათვის, სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში — 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში — 3 ჰექტარამდე;

— სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის, ბარისა და ზეგნის რაიონებში — 0,5 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში — 3 ჰექტარამდე;

— ქალაქად მცხოვრებთათვის, რომელთაც საკუთრების უფლებით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, და ქალაქად მცხოვრები იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ სოფლად მიიღონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ბარისა და ზეგნის რაიონებში — 0,15 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში — 1 ჰექტარამდე.

2. საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გაცემა განხორციელდეს 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით. 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ გაყრის შედეგად წარმოქმნილი ახალი კომლები დაკმაყოფილდნენ ამ მიზნით მიწის სარეზერვო ფონდის შექმნის შემდეგ.

კომლის გაყრა ხორციელდება მასში ორი და მეტი სრულწლოვანი შვილის არსებობის შემთხვევაში, ამასთან ერთ-ერთი შვილი რჩება კომლის მემკვიდრედ და მას ცალკე საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გამოეყოფა.

ერთშვილიანი კომლის შემთხვევაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ცალკე არ გამოიყოფა.

3. თუ კომლს მიწების აღრიცხვის ზონარგაყრილ წიგნში რეგისტრირებულ ფართობთან შედარებით აღმოაჩნდება მეტი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, შესაბამისი კომისიების მიერ დადგენილ საკარმიდამო მიწის ზღვრულ ნორმამდე შევსების შემდეგ დარჩენილი მიწის ნაკვეთი გადადის სარეზერვო ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თუ მიწის რეფორმის კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის არასასოფ-ლოსამეურნეო დანიშნულების მიწებიდან (სახელმწიფო მიწის ფონდი, სახელ-მწიფო ტყის ფონდი, მრეწველობის, ტრანსპორტის, სპეცდანიშნულების და სხვა მიწები) საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას, საკითხი მისი არსებული წესით გამოყოფის შესახებ გადასაწყვეტად უნდა დაისვას ზემდგომ რესპუბ-ლიკურ ორგანოებში.

5. საკარმიდამოდ გადაცემული მიწის ნაკვეთის ზედიზედ ორი წლის გან-მავლობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოუყენებლობისა და აუთვისებლობის შემთხვევაში ნაკვეთი კომლს ჩამოერთმევა სასამართლო წე-სით და გადაეცემა სარეზერვო მიწის ფონდში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 თებერვალი, № 128

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოების), ფილიალის რეგისტრაციის წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოების), ფილიალის რეგისტრაციის გამარტივების მიზნით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო კომისიის გაუქმების გამო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 5 აპრილის № 261 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა და საზოგადოების), ფილიალის რეგისტრაციის დროებითი დებულების მე-6-8, მე-10 და მე-11 მუხლები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს მეურნე სუბიექტის რეგისტრაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმის კომისიის თანხმობას და თანხმობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენას.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 თებერვალი, № 135

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთიანი კომპლექსის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს რწმუნებულის აპარატი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს რწმუნებულის აპარატის ფუნქციები გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარ სამმართველოს. აღნიშნული აპარატის ქონება გადაეცეს ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

3. გაუქმდეს სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს საექსპორტო ტვირთების კონტროლის ამიერკავკასიის ტერიტორიული სამმართველო. ჩამოყალიბდეს მის ბაზაზე რესპუბლიკის საექსპორტო და საიმპორტო ტვირთების კონტროლის ინსპექცია და დაექვემდებაროს იგი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული რესპუბლიკური საგარეო სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსი", იგივე დაქვემდებარების წესით, გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარ სამმართველოს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი რესპუბლიკაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მკვეთრი ლიბერალიზაციის, საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე ლიცენზირებისა და კვოტირების ერთიანი წესის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 თებერვალი, № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 სატრანსპორტო კომპლექსში ტარიფების მოწესრიგების შესახებ

ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით სატრანსპორტო კომპლექსში ტარიფების მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის სატრანსპორტო კომპლექსში ერთიანი სატარიფო პოლიტიკის გასატარებლად შემოღებულ იქნეს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დამტკიცებისა და რეგულირების შემდეგი წესი:

1.1. სახელმწიფოთაშორისი სარკინიგზო, სამდინარო, საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფები დგინდება სახელმწიფოთაშორისი მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ.

1.2. რესპუბლიკის ფარგლებში ყველა სახის ტრანსპორტით (გარდა კიდული ბაგირგზებისა) ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს წინადადებათა საფუძველზე.

1.3. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო ამტკიცებს:

— სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურების ტარიფებს;

— კაბოტაჟური გადაზიდვების ტარიფებს;

— რესპუბლიკის ფარგლებში საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს;

— კიდული ბაგირგზებით მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს.

1.4. ნება დაერთოთ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დააწესონ და არეგულირონ:

— საქალაქო (მიწისზედა) სამგზავრო ტრანსპორტზე (ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი) ერთჯერადი მგზავრობის ღირებულება ამ დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული ტარიფების საფუძველზე;

— მგზავრობის ღირებულებიდან გამომდინარე ერთთვიური და შეღავათიანი ბილეთების ღირებულება.

მგზავრთა გადაყვანის დადგენილი ღირებულებებით მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტისა და კიდული ბაგირგზების ზარალიანი მუშაობის პირობებში გამონახონ მისი დაფარვის საშუალება.

2. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1992 წლის 1 მარტიდან ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის ტარიფი — 60 კაპიკი.

3. დამტკიცდეს ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ზღვრული ტარიფები და მოქმედი ტარიფების მიმართ გამადიდებელი კოეფიციენტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.1. სახელმწიფოთაშორის მარშრუტებზე მაგარსავარძლიანი ავტობუსებისათვის გამადიდებელი კოეფიციენტი — 11, რბილსავარძლიანი ავტობუსებისათვის — 10, ექსპრესული რეჟიმით მიმოსვლისათვის — 20 პროცენტით მეტი.

3.2. საქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის მაგარსავარძლიანი ავტობუსებითა და ელექტროტრანსპორტით მგზავრობის ერთი მგზავრკილომეტრის ღირებულება — 10 კაპიკი, რბილსავარძლიანი ავტობუსებით — 14 კაპიკი, ხოლო ექსპრესული რეჟიმით მიმოსვლისათვის — 20 პროცენტით მეტი.

3.3. მსუბუქი ტაქსებით მგზავრობის ღირებულება 1 კილომეტრი გარბენისათვის — 2 მანეთი, ჩაჯდომისათვის — 2 მანეთი, ხოლო 1 საათით ფასიანი მოცდენისათვის — 20 მანეთი.

3.4. ცალკეული შეკვეთებით ავტობუსებითა და მსუბუქი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანის, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა მსუბუქი ავტომობილებით მომსახურებისათვის გამადიდებელი კოეფიციენტი — 4.

აღნიშნული ტარიფები და გამადიდებელი კოეფიციენტები (გარდა საქალაქო ავტობუსებისა და ელექტროტრანსპორტისა) შემოღებულ იქნეს 1992 წლის 1 თებერვლიდან, საქალაქო ავტობუსებისა და ელექტროტრანსპორტისა კი — 1992 წლის 15 თებერვლიდან.

4. დაწესდეს და 1992 წლის 15 თებერვლიდან შემოღებულ იქნეს მოქმედი ტარიფების მიმართ ზღვრული გამადიდებელი კოეფიციენტები:

— საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადასაზიდად — 5;

— რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა ადგილობრივი მიმოსვლისათვის — 2, ხოლო შინარესპუბლიკური პირდაპირი მიმოსვლისათვის — 3,7;

— საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გადასაზიდად — 11,9;

— რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვისათვის — 8,3, ხოლო ამავე მიმოსვლით მგზავრთა გადასაყვანად — 3,7;

— საჰაერო ტრანსპორტით ტვირთისა და ბარგის გადაზიდვისა და მგზავრთა სახელმწიფოთაშორისი გადაყვანისათვის — 6, ხოლო რესპუბლიკის ფარგლებში — 2.

5. სატრანსპორტო ტარიფების მკვეთრი ზრდის თავიდან აცილებისა და საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ეკონომიკური პირობების შესაქმნელად სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ რესპუბლიკის ფარგლებში მგზავრთა გადაყვანას (გარდა ტაქსომოტორებისა), გაწეული მომსახურებისათვის განთავისუფლდნენ მომატებული ღირებულების გადასახადისაგან.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით იმ კატეგორიის მოქალაქეთა ნუსხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც ენიჭებათ შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლება, და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს სამგზავრო ტრანსპორტის ამონაგების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომუშავე სტრუქტურების განვითარება, ამავე მიზნით შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი იჯარასა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე სამგზავრო სატრანსპორტო საწარმოების საჩქაროდ გადასაყვანად.

8. დარგის ნორმალური სამეურნეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ შექმნას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ფინანსური რეგულირების არასაბიუჯეტო ფონდი მისი საფინანსო სახსრების ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ დაადგინოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით არასაბიუჯეტო ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი.

9. ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრთა გადაყვანისათვის სოციალურად მისაღები ტარიფების შესანარჩუნებლად დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებათა საფუძველზე დოტაციის თანხის ოდენობა და უზრუნველყოს მისი დაფარვა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

10. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს უზრუნველყოს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი, პირველ რიგში ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენი, სათანადო რაოდენობის მონეტებით (ხურდა ფულით) საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე.

11. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებათა საფუძველზე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მოძრავი შემადგენლობის შეძენისა და საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დაფინანსება.

12. დაწესდეს, რომ ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ყველა ტარიფი და მოსაკრებელი 1992 წლის პირველ კვარტალში ყოველთვიურად, შემდგომში კი ყოველკვარტალურად ინდექსირდება მოხმარებულ რესურსებზე ფასებისა და მუშაკთა შრომის ანაზღაურების ცვლილების გათვალისწინებით. მგზავრთა გადაყვანის ტარიფები ინდექსირდება ყოველკვარტალურად.

13. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებათა საფუძველზე 1992 წლის 1 იანვრიდან ახალი ტარიფების ძალაში შესვლამდე სამგზავრო ტრანსპორტის ექსპლუატაციით მიღებული ზარალის რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე დაფარვის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ 10 დღის ვადაში დაამუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი პრეისკურანტები და მეტროპოლიტენით მგზავრობის ერთთვიანი ბილეთების ფასების პროექტები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 თებერვალი, № 150

24 საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

გამოიყოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებიდან სატყეო მეურნეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქტყემეურნეობა“ და საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 თებერვალი, № 156

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს შესახებ

მოქალაქეთა სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული რეალიზაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის დემონოპოლიზაციის, მათი თვისებრივად ახალი ფორმების დამკვიდრებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარების, ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს განვითარებისათვის ხელშეწყობის, პროფესიული და შემოქმედებითი ინტერესების დაცვის სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფის და შესაბამისი კანონებისა და კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე სამართლებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრო, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და გამომცემლობათა საქმიანობის რესპუბლიკური სახელმწიფო მმართველობისა და კოორდინაციის ორგანო.

გადაეცეს სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი, ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი, ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“ (საქინფორმი), რესპუბლიკური საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობა, საავტორო უფლებათა რესპუბლიკური სააგენტო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის სააგენტო (მთავლიტი), პერიოდიკის გავრცელების რესპუბლიკური სააგენტო (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) მათი საწარმოებით, დაწესებულებებითა და ორგანიზაციებითურთ.

აღნიშნული სამსახურების შემდგომი რეორგანიზაცია განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს წარდგინებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს ძირითად ამოცანად ჩაითვალოს:

— მოქალაქეთა სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;

— საინფორმაციო და საგამომცემლო საქმიანობის თავისუფლების სამართლებრივი უზრუნველყოფის კონტროლი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და გამომცემლობათა მუშაობაში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა;

— ჟურნალისტთა, გამომცემელთა და ამ სფეროს სხვა მუშაკთა პროფესიული და სოციალური ინტერესების დაცვა;

— ჟურნალისტთა და საგამომცემლო ინიციატივის რეალიზაციისათვის, ახალი საწარმოო და სამართლებრივი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და საკადრო პოლიტიკის სრულყოფისათვის ორგანიზაციული ხელშეწყობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახელმწიფოთა შორის საინფორმაციო გაცვლის და სხვა მიმართულებების სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე.

3. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა სამინისტროს სტრუქტურისა და საშტატო განრიგის წარდგენების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს აპარატის შესანახი ხარჯები წარდგენილი რიცხოვნობის გათვალისწინებით.

4. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრს დაამტკიცოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი სამინისტროსათვის დადგენილი ზღვრული რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში.

5. საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრომ იყოლიოს მინისტრის ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე.

განისაზღვროს სამინისტროს კოლეგია ცხრა კაცის შემადგენლობით.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ (გ. ბერიძე) გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროსათვის შესაბამისი სამუშაო ფართობის და სამსახურებრივი დანიშნულების მსუბუქი ავტომობილების გამოყოფის საკითხი.

7. საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრომ ორი თვის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად სამინისტროს დებულების პროექტი და თავისი საქმიანობის მარეგლამენტებელი სხვა ნორმატიული დოკუმენტები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 15 თებერვალი, № 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სსრ კავშირის საბაჟო ორგანოების ნაციონალიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს ყოფილი სსრ კავშირის საბაჟო კომიტეტის საქართველოს სახელმწიფო საბაჟო კონტროლის სამმართველო, თბილისის, ბათუმის, ფოთის საბაჟოები და შეიქმნას მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი, რომელსაც დაექვემდებაროს თბილისის, ბათუმისა და ფოთის საბაჟოები.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს:

— ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადება საბაჟო დეპარტამენტის დებულებისა და სტრუქტურის შესახებ;

— განახორციელოს ღონისძიებანი ყოფილი სსრ კავშირის საბაჟო ორგანოების გასაუქმებლად და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფულადი სახსრების გადასაცემად საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოებისათვის.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტისა და მის სისტემაში შემავალი საბაჟო ორგანოების საშტატო განრიგისა და დაფინანსების შესახებ.

4. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებამდე იხელმძღვანელოს არსებული საბაჟო კანონმდებლობითა და საბაჟო წესებით.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 15 თებერვალი, № 174

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების მინიჭების ვადის გადატანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1991 წლის მეორე ნახევარსა და 1992 წლის იანვარში რესპუბლიკაში შექმნილ დაძაბულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ 1992 წლის პრემიების მისანიჭებელი კონკურსი, როგორც გამონაკლისი, ჩატარდეს 1993 წელს. ამასთან შემდგომი კონკურსი მოეწყოს დადგენილი რიგის მიხედვით — 1994 წელს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 15 თებერვალი, № 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 6 დეკემბრის № 914 დადგენილების მე-5 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 და 6 თებერვლის № 128 დადგენილებათა გამოსვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს „რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების უხეშ დარღვევათა აღკვეთის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 6 დეკემბრის № 914 დადგენილების მე-5 პუნქტი.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი — ბ. ბერიძე

ქ. თბილისი, 1992 წ. 15 თებერვალი, № 178

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაჟოების გავლით სატრანზიტო გადაზიდვებისა და რეექსპორტის განხორციელებისას დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 11 ნოემბრის № 849 დადგენილება და სახელმწიფო ტვირთების სატრანზიტო გადაზიდვის გადასახადისაგან განთავისუფლდნენ მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 თებერვალი, № 185

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს“ შექმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. ყოფილი სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანება „სოიუზსპორტლოტოს“ სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმოს ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“ ანუ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“ (შემდგომში „ინტერსპორტლოტო“) და დამტკიცდეს მისი წესდება (თან ერთვის).

2. დაევალოს „ინტერსპორტლოტოს“ რესპუბლიკაში სპორტული ლატარიების სხვადასხვა ფორმების ფართოდ დანერგვა, მისი ჩატარება და ბილეთების რეალიზაცია, კოორდინაციის გაწევა სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ჩაატარებენ ანალოგიურ სპორტულ ლატარიებს.

დაწესდეს, რომ მას ყოველნაირად უწყობენ ხელს რესპუბლიკის როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ წარმოებათა შენარჩუნებით.

3. „ინტერსპორტლოტო“ თავის ურთიერთობას სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ სპორტული ლატარიების ასოციაცია „სპორტლოტოსთან“ აგებს სახელშეკრულებო საწყისებზე, თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღნიშნული დადგენილების მესამე პუნქტის შესაბამისად.

„ინტერსპორტლოტოს“ ნება ეძლევა ითანამშრომლოს უცხოეთის „ინტერტოტოს“ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა გაერთიანებებთან, ფირმებთან და სხვ. მიღებული მოგების გარკვეული ნაწილი (35 პროცენტი), არსებული წესის თანახმად ერიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს (30 პროცენტამდე) რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკურად გაჯანსაღებისათვის და ასოციაცია „სპორტლოტოს“.

დარჩენილი ნაწილი ხმარდება ლატარიების ჩატარებისა და ორგანიზაციის საქმეს. „ინტერსპორტლოტოს“ მრავალდარგობრივ საქმიანობას.

დამატებითი ტირაჟების ჩატარების დროს მოგების პროცენტები განაწილდება „ინტერსპორტლოტოს“, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსა და სხვა მონაწილე ორგანიზაციებს შორის, ყველა შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში რესპუბლიკის ბიუჯეტს ერიცხება არსებული წესის მიხედვით გარკვეული პროცენტი.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, „ინტერსპორტლოტოს“ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად 1992 წლიდან შეიმუშაონ ქართული სპორტლოტოსა და სპორტპროგნოზის გათამაშების ჩატარების წესები, მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს საჭირო დახმარება აღმოუჩინონ „ინტერსპორტლოტოს“ საინფორმაციო სარეალიზაციო ცენტრებისათვის, ჯიხურებისათვის, ფარდულებისათვის საჭირო ფართობის გამოყოფისა და გარე ვაჭრობის წარმოებაში.

6. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა და რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულმა შემნახველმა ბანკმა დახმარება გაუწიონ „ინტერსპორტლოტოს“ სპორტული ლატარიების ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის შეუფერხებლად წარმოებაში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 19 თებერვალი, № 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1992 წლის 19 თებერვლის
№ 192 დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს
რესპუბლიკური სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს“

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტო“ (შემდგომში „ინტერსპორტლოტო“) არის თვითდაფინანსებაზე შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

„ინტერსპორტლოტო“ თავის ურთიერთობას აგებს სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ შექმნილი სპორტული ლატარიების ასოციაცია „სპორტლოტოსთან“ და სხვა ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო საწყისებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების მესამე პუნქტის შესაბამისად.

1. „ინტერსპორტლოტოს“ საქმიანობის მიზანია რესპუბლიკაში სპორტული ლატარიების სხვადასხვა ფორმის ფართოდ დანერგვა. იგი წარმართავს საქართველოში ყველა სახის სპორტული ლატარიების ჩატარების, ორგანიზაციისა და ბილეთების რეალიზაციის საქმეს; კოორდინაციას უწევს რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციების მიერ ანალოგიური სახის ლატარიების ჩატარებას.

მას ყველანაირად უწყობენ ხელს რესპუბლიკის როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ხელმძღვანელობს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში არსებულ სპორტლოტოს სამმართველოებს და განყოფილებებს.

„ინტერსპორტლოტოს“ მიერ მიღებული მოგების გარკვეული ნაწილი არსებული წესის თანახმად ერიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკურად გაჯანსაღებისათვის და ასოციაცია „სპორტლოტოს“.

დარჩენილი ნაწილი ხმარდება ლატარიების ჩატარებისა და ორგანიზაციის საქმეს, „ინტერსპორტლოტოს“ მრავალდარგობრივ საქმიანობას.

2. „ინტერსპორტლოტოს“ ამოცანაა:

— მოაწყოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სპორტული ლატარიების გათამაშებანი (ფულად-ნივთობრივი, სპორტლოტო, სპრინტი, სუპერსპრინტი, სპორტპროგნოზი და სხვ.);

— შეისწავლოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ლატარიის ბილეთებზე და უზრუნველყოს მისი დაკმაყოფილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშაოს „სპორტლოტოს“ განვითარების მიმართულებანი და პერსპექტივები;

— სპორტული ლატარიების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად განავითაროს სარეკლამო საქმიანობა;

— უზრუნველყოს ბილეთების დამუშავება ტირაჟების მიხედვით, ტირაჟის ჩატარებამდე და ჩატარების შემდეგ;

— მოამზადოს და დააგზავნოს შემნახველი ბანკის განყოფილებებში ყოველი ტირაჟის ოფიციალური ცხრილები;

— მიიღოს ზომები მოგებული ლატარიების ასანაზღაურებლად;

— შეისწავლოს და ფართოდ დანერგოს სხვა ქვეყნების მოწინავე გამოცდილება.

3. „ინტერსპორტლოტო“ არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში, ბეჭედი ორგანიზაციის დასახელებით, ტიტული და ემბლემა.

4. „ინტერსპორტლოტო“ მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და თავისი წესდების შესაბამისად.

5. „ინტესპორტლოტო“ საკუთარი ძალებით გეგმავს თავისი კოლექტივის სოციალურ და სამეურნეო განვითარებას და მიმართულებებს, აუმჯობესებს მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მუშაკების ცხოვრების პირობებს.

6. „ინტერსპორტლოტოს“ უფლება აქვს:

— დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი;

— გამოიყენოს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი ფონდები და ამონაგები ფინანსური საშუალებანი;

— შექმნას წარმოებები, გაერთიანებები, კოოპერატივები და ერთობლივი საწარმოები, საფირმო მაღაზიები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე ბანკისა და შემნახველი ბანკის განყოფილებები;

— საზღვარგარეთის ქვეყნებთან უცხოური ვალუტის მოზიდვის მიზნით განამტკიცოს მათთან საქმიანი კავშირები, ითანამშრომლოს, გაცვალოს დელეგაციები, განახორციელოს უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი სამეურნეო საქმიანობა, შექმნას ერთობლივი და შერეული საწარმოები, ასოციაციები, კონცერნები, ფირმები და საშუამავლო ორგანიზაციები;

— კონტრაქტით დანიშნოს საწარმოების ხელმძღვანელები;

— ერთობლივ საწარმოებთან, გაერთიანებებთან და კოოპერატივებთან ერთად აგვარებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას „ინტერსპორტლოტოს“ სიმბოლიკით და მის რეალიზაციას;

— შეიძინოს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, ცალკეული მოქალაქეებისაგან საცალო და საბითუმო ვაჭრობით თავისი საჭიროებისათვის და ტირაჟების ჩასატარებლად, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე კომერციულ ფასებში სპორტული ან სახალხო მოხმარების საგნები, ნედლეული და სხვა მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, რადიოაპარატურა, მოწყობილობა, დანადგარები და სხვ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გასწიოს ქველმოქმედება ეროვნული სპორტის, ცალკეული გუნდებისა და სპორტსმენებისადმი, ინვალიდი სპორტსმენებისადმი დახმარების მიზნით.

8. „ინტერსპორტლოტოს“ საქმიანობას ხელმძღვანელობს და ორგანიზაციას უწევს პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს 5 წლის ვადით კოლექტივის საერთო კრება დახურული ან ღია კენჭისყრით (თვით კრება განსაზღვრავს).

9. „ინტერსპორტლოტოს“ პრეზიდენტი:

— პერსონალურად არის პასუხისმგებელი „ინტერსპორტლოტოს“ მუშაობის შედეგებზე;

— ანაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეთა (დირექტორთა) შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას, განსაზღვრავს მოადგილეთა (დირექტორთა) სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას „ინტერსპორტლოტოს“ საქმიანობის ცალკეული დარგებისა და უბნების ხელმძღვანელობისათვის და აგრეთვე კორპორაციის სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოებისა და სხვათა მუშაობისათვის;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ათავისუფლებს და იღებს სამუშაოდ მუშაკებს, განსაზღვრავს მის რაოდენობას და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობას, უზრუნველყოფს შრომითი კანონმდებლობისა და დისციპლინის დაცვას;

— „ინტერსპორტლოტოს“ სახელით წარდგება რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის დაწესებულებებთან, დებს ხელშეკრულებებს, აძლევს რწმუნებებსა და მინდობილობებს, ხსნის ბანკში სხვადასხვა სახის ანგარიშებს;

— უზრუნველყოფს „ინტერსპორტლოტოსა“ და მასში შემავალი სამმართველოებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას არსებული კანონის შესაბამისად ან შრომითი ხელშეკრულებით;

— საერთო კრების გადაწყვეტილებით (რეკომენდაციით) სოციალური განვითარებისა და მატერიალური სტიმულირების არსებული ფონდიდან აწესებს დამატებით ანაზღაურებას, პრემიებს, დახმარებას და სხვ., ქმნის საპრეზიდენტო ფონდს;

— საჭიროების შემთხვევაში აყალიბებს საბჭოს, რომელიც მონაწილეობს „ინტერსპორტლოტოს“ საქმიანობის მიმართულებათა პერსპექტივების შემუშავებასა და სამეურნეო და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;

— ინტერსპორტლოტოს“ და მის გამგებლობაში მყოფი ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სისტემატური კონტროლისა და შემოწმების მიზნით იქმნება სარევიზიო-მაკონტროლებელი ჯგუფი, რომელსაც ირჩევს საერთო კრება.

10. „ინტერსპორტლოტო“ რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბანდებს ფულს და ფასიან ქაღალდებს საქართველოს ეროვნულ ბანკში ან სხვა ბანკებში, აწარმოებს საბანკო ოპერაციებს.

11. „ინტერსპორტლოტო“ თავის საქმიანობას წყვეტს კანონის მიერ დაწესებული ნორმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებ-ლობის სამინისტროს სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათ-სარგებლობის სამინისტროს წინადადება და ეწოდოს მას „საქართველოს რეს-პუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო“.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 თებერვალი, № 209

32 კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალების და მდინარე რიონის სახელმწიფო აღკვეთილის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს საზღვრებში, შავი ზღვის შელფის ზონა ათასამდე კვადრატულ კი-ლომეტრს შეადგენს, რომლის გამტკნარებას ახდენენ მდინარეები: ჭოროხი, სუფსა, რიონი, ენგური, კოდორი, ბზიფი და სხვა მცირე მდინარეები. მათ მიერ გამოტანილი ბიოგენები და ჩამოყალიბებული მძლავრი მტკნარი წყლის და შავი ზღვის ჰიდროფრონტი ინტენსიური პროდუქციული პროცესებისა-თვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. წყლის ამ აკვატორიაში თავს იყრის სვია, აზოვისა და შავი ზღვის ზუთხი, ატლანტური ზუთხი (ფორონჯი), შავი ზღვის ორაგული, კამბალა, კუზანულები, ქაფშია (ხამსა) და სხვა ჯიშის თევზები.

ატლანტური ზუთხის ზღვაში ინტენსიურმა მოპოვებამ, შავ ზღვაში ჩამ-დინარე მდინარეების კაშხალებით დარეგულირებამ, სამრეწველო ნარჩენებით გაბინძურებამ და სატოფე ადგილების მოშლამ აფხაზეთისა და კოლხეთის მდინარეებში კატასტროფულად შეამცირა ამ სახეობის პოპულაცია და ერთ დროს თავისი სიმრავლით და მაწიერებით სახელგანთქმული ატლანტური ზუთხი (ფორონჯი) საქართველოს „წითელ წიგნშია“ შეტანილი, როგორც იშვიათი და გადაშენების ზღვარზე მყოფი სახეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამხრეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მონაცემებით ზუთხისებრთა ოჯახის რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ატლანტური ზუთხის პოპულაციის ამჟამად არსებული რაოდენობა საკმარისია მათი კვლავწარმოებისათვის.

მდინარე რიონის ატლანტური ზუთხის უკანასკნელი პოპულაციის შენარჩუნების მიზნით საქართველოს მთავრობის თხოვნით ყოფილი სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ 1975 წლის 10 აგვისტოს გამოსცა ბრძანება შავი ზღვის სანაპირო ზოლში (5 მილი) ქალაქ ფოთიდან ოჩამჩირემდე თევზის ყოველგვარი რეწვის აკრძალვის თაობაზე, მაგრამ ამავე სამინისტრომ შემდგომი მითითებით შავი ზღვის ამავე სანაპირო ზოლში დაუშვა ქაფშიის (ხამსის) რეწვის უფლება, რამაც პრაქტიკულად არარაობამდე დაიყვანა ატლანტური ზუთხის რიონის პოპულაციის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, ვინაიდან სარეწი გემების ფლოტილია (200 თევზსაჭერი გემი) ყოველწლიურად ეწევა აკრძალულ ზონაში ქაფშიის მოპოვებას. რეწვის დროს ქაფშიასთან ერთად ადვილად იჭერენ ატლანტური ზუთხის მოზარდის მნიშვნელოვან ნაწილს.

ატლანტური ზუთხის (ფორონჯის) გენოფონდის გადარჩენისა და ბუნებრივ გარემოში მისი კვლავწარმოების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს და ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამხრეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების წინადადება და შეიქმნას კოლხეთის საზღვაო სახელმწიფო ნაკრძალი და მდინარე რიონის სახელმწიფო აღკვეთილი.

2. კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალის ტერიტორია განისაზღვროს ქალაქების ფოთი-ოჩამჩირის საზღვაო მონაკვეთის ფარგლებში, სიგანეში 5 მილით ზღვის ნაპირიდან და შემოიფარგლოს 60-მეტრიანი იზობატით, ხოლო ფოთი-ანაკლიის უბანზე — 120-მეტრიანი იზობატით.

3. რიონის სამდინარო სახელმწიფო აღკვეთილის ტერიტორია განისაზღვროს მდინარე რიონის შესართავიდან ქალაქ სამტრედიამდე მისი შენაკადის მდინარე ცხენისწყლის კალაპოტის მთელს სიგრძეზე.

4. დაევალოს „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს:

— ნატურაში გამიჯნოს კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალის საზღვრები;

— ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განსახილველად წარმოუდგინოს კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალისა და მდინარე რიონის აღკვეთილის დებულება, საშტატო განრიგი და შენახვის ხარჯები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიაღწიოს რიონის თევზსაშენი ქარხნის სრული დატვირთვით გამოყენებას პირდაპირი მიზნობრივი დანიშნულებით ატლანტური ზუთხის (ფორონჯის) სახეობის კვლავწარმოების მიზნით.

5. რიონის სამდინარო სახელმწიფო აღკვეთილის და კოლხეთის საზღვაო ნაკრძალის დაცვა დებულების დამტკიცების შემდეგ დაევალოს „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს.

6. დაევალოს ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამხრეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებას განახორციელოს ამ რეგიონში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა ატლანტური ზუთხის (ფორონჯის) შენარჩუნებისა და აღწარმოების მიზნით.

7. ამ დადგენილების მიღების დღიდან კოლხეთის სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალოს ყოველგვარი თევზჭერა (მათ შორის ქაფშიას).

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 თებერვალი, № 212

33 სახელმწიფო საწარმო — ფირმა „საქწყალმშენის“ შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში სამელიორაციო და წყალსამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილია დამოუკიდებელი მძლავრი საწარმოო ბაზებით, ტექნიკითა და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტებული ორგანიზაციის ფუნქციონირება, რომელიც მოწოდებული იქნება შეასრულოს როგორც სამელიორაციო და წყალსამეურნეო, ასევე სოციალური ინფრასტრუქტურისა და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობას“ გამოეყოს ყოფილი სპეციალიზებული სამშენებლო გაერთიანება „საქწყალმშენის“ ორგანიზაციები და საწარმოები და მათ ბაზაზე შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო საწარმო — ფირმა „საქწყალმშენი“.

2. ფირმა „საქწყალმშენმა“ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად დამოუკიდებელი სახელმწიფო საწარმოს — ფირმა „საქწყალმშენის“ წესდება და სტრუქტურა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტის
სახელმწიფო კანცელარიის
მმართველის მოვალეობის
შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 თებერვალი, № 213

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ КАБИНЕТА МИНИСТРОВ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 1, 1992 წელი

გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-92 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 246 ტირაჟი 2435

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა